აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

H 01-04/95 : 13-12. 2018 წელი

მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოდულურ პროგრამაზე „სისტემების ადმინისტრატორი" ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;
2. პროფესიული სტუდენტების მტკიცებულებების შენახვის ვადად განისაზღვროს კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;
3. დაევალოს მოდულის განმახორციელებელ პირს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვა მოდულის დასრულებამდე;
4. დაევალოს პროგრამის დამხმარე ტექნიკურ პერსონალს მოდულის განმახორციელებელი პირისაგან თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებები მოდულის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;

5. დაევალოს პროგრამის დამხმარე ტექნიკურ პერსონალს მოდულის განმახორციელებელი პირისაგან ჩაიბაროს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებები მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;
6. **დაევალოს პროგრამის ხელმძღვანელს პროფესიული საგანმანათლებლო** პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებების გადაცემა კურსდამთავრებულთათვის უნივერსიტეტის რექტორის №01–04/37ბრძანებაში (11. 07. 2018 წ) გაწერილი მუხლების დაცვით

რექტორი: პროფესორი გიორგი ღავთაძე

პროექტი შეაქვს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს
დეკანი: დავით ლეკვეიშვილი

შემსრულებელი
დეკანის მოადგილე: ნინო გოგოლაძე